განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

დიმიტრი უზნაძის N52
0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220
pr@mes.gov.ge

MES 7 23 0001758547

25/12/2023

მოქალაქე ქეთი მაჭავარიანს
ელ ფოსტა: foi+request-2757-d2600ccd@askgov.ge

ქალბატონო ქეთი,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოდგენილ თქვენს განცხადებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სკოლის მიტოვების სტატისტიკური მონაცემების მიღება/დამუშავებასთან დაკავშირებით სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა მოქმედებს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებისა და ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) ფუნქციონირების შეთანხმებული წესების შესაბამისად. ამასთან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 12^1 პუნქტი ადგენს, რომ დაუშვებელია დაწყებით და საბაზო საფეხურებზე მოსწავლის საჯარო სკოლიდან გარიცხვა. ამდენად სავალდებულოა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დასრულება, საჯარო სკოლა ვალდებულია 16 წლამდე ასაკის მოსწავლეების მიერ არ დაუშვას სწავლის მიტოვება/მოსწავლის გარიცხვა. საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ სტატუსის შეწყვეტა შესაძლებელია სხვადასხვა მიზეზის გამო, ეს შესაძლოა იყოს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, ავადმყოფობა, გარდაცვალება, პროფესიულ კოლეჯში სწავლის გაგრძელება და სხვ. თუმცა სწავლის შეწყვეტა ყველა შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ მოსწავლე არ გააგრძელებს სწავლას საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სწავლის შეწყვეტის ერთ-ერთი მიზეზია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროფესიულ სასწავლებელში სწავლის გაგრძელება, ამასთან მიმართებაში მნიშვნელოვანია, რომ „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით რიგ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, შესაბამისად, ამ ტიპის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაცემული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი გათანაბრებულია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან.
ასევე განგიმარტავთ, რომ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ზოგადი განათლების მიღება შეიძლება ექსტერნატის ფორმით. ექსტერნს უფლება აქვს, სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღოს ექსტერნატის ფორმით ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის დაძლევის შემთხვევაში. ასევე ამავე კანონის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ ზოგადი განათლების მიღება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ალტერნატიული ფორმებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, მოსწავლეთა ასაკობრივი

თავისებურებებისა და შრომითი და ოჯახური პირობების გათვალისწინებით. ამდენად, სხვადასხვა სტატუსით ამორიცხულმა მოსწავლემ შესაძლოა აღიდგინოს სტატუსი და სწავლა გააგრძელოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, შესაბამისად სწავლის შეწყვეტა ცვალებადია და მერყევი.

აქვე განგიმარტავთ, რომ უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილ რეგულაციებს.

პატივისცემით,
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოხელე

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი)
უფროსის ფუნქციათა შემსრულებელი
ნათია ლომთაძე